ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისთვის (EU4ITD) - ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი (CESL)
კონკურსი საპროექტო იდეების მისაღებად - ურბანული განახლების მიმართულებით
ივლისი, 2023

GIZ-ი საქართველო, ევროკავშირისა და გერმანიის მთავრობის მიერ დაფინანსებული ინიციატივის „EU4ITD - ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი "(CESL) ფარგლებში, გამოცხადებული კონკურსის საპროექტო იდეების მიღების ვადა გახანგრძლივდა **2023 წლის 30 სექტემბერის** ჩათვლით.

აღნიშნულ პერიოდში, განაცხადის შემოტანის შესაძლებლობა ექნება იმერეთის მხარის ოთხ პოსტ-ინდუსტრიულ ქალაქს (**ზესტაფონი, სამტრედია, ჭიათურა და ტყიბული**), პრიორიტეტული მიმართულებით - ურბანული განახლება.
კონკურსით მოთხოვნილი თითოეული გრანტის მინიმალური მოცულობა არ უნდა იყოს 50 000 ლარზე ნაკლები, რაც შეეხება გრანტის მაქსიმალურ მოცულობას, ურბანული განახლების პრიორიტეტისთვის განისაზღვრება 800,000 ლარი.

საპროექტო წინადადებების შეფასება დაფუძნებული იქნება შეფასების კრიტერიუმებზე, რომლებიც მითითებულია „საპროექტო იდეების კონკურსის პირობებში".

თითოეული საპროექტო იდეის (შემდგომში განაცხადი) შეფასების შემდეგ, დადებითი პასუხის შემთხვევაში, ის განაცხადები რომლებიც დააკმაყოფილებენ კონკრეტულ პირობებსა და ვადებს მიიღებენ დაფინანსების წინაპირობას. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, განმცხადებელი აგრძელებს პროექტის შემუშავებასა და საგრანტო ხელშეკრულებისთვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადებას (იხ. კონკურსის პირობების - თავი 3). პროექტის განხორციელება და მონიტორინგი იწყება ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ (იხ. კონკურსის პირობების - თავი 4). პროგრამის განხორციელების პერიოდში CESL-ის გუნდს ექნება აქტიური კომუნიკაცია სახელმწიფო რწმუნებულების ადმინისტრაციებთან და სამხარეო საკონსულტაციო საბჭოებთან (RCC). დამატებითი კითხვების შემთხვევაში, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ CESL-ის რეგიონულ მრჩევლებს, დასავლეთ საქართველოში nino.khukhua@giz.de-სა და mariam.zhorzhikashvili@giz.de-ს.

საპროექტო წინადადებები უნდა გამოიგზავნოს ელექტრონულ მისამართზე: euitd@giz.de არაუგვიანეს **2023 წლის 30 სექტემბერისა.** შემოსული ყველა საპროექტო იდეის შეფასება მოხდება კონკურსის საბოლოო ვადის დასრულების შემდეგ და გადაწყვეტილება მიღებულ იქნება არაუგვიანეს **2023 წლის 31 ოქტომბრისა.**

წარმოდგენილი უნდა იქნას ისეთ საპროექტო წინადადებები, რომლებიც ეხმაურება შემდეგ ძირითად სფეროებს:

- ეკონომიკური დივერსიფიკაცია: პროექტები, რომლებიც ხელს უწყობს ეკონომიკის დივერსიფიკაციას ახალი ინდუსტრიების მოზიდვით, ახალი ეკონომიკური აქტივობის

სტიმულირებით, ან არსებული ეკონომიკური შესაძლებლობების გაზრდით/განვითარებით.

- ხელახალი გამოყენება: საპროექტო იდეები რომლებიც გარდაქმნის ფუნქციადაკარგულ ვაკანტურ ადგილებს და მიტოვებულ შენობებს კომერციულ, კულტურულ თუ საზოგადოებრივ საქმიანობის სივრცეებად.
- მდგრადი ინფრასტრუქტურა და გარემოს დაცვა: საპროექტო წინადადებები, სადაც პრიორიტეტულია ინფრასტრუქტურის მდგრადი განვითარება, განახლებადი ენერგიის ინტეგრაციის, ნარჩენების მართვის და გარემოს დაცვის მიმართულებები.

ურბანული განახლების მიმართულება არის უნიკალური შესაძლებლობა გარდაქმნას და განაახლოს ურბანული ტერიტორიები, არა მხოლოდ ესთეტიკური გაუმჯობესებისთვის, არამედ სოციალური და კომერციული ზემოქმედების შესაქმნელად, ინიციატივებზე ფოკუსირებით, რომლებიც აუმჯობესებენ ცხოვრების ხარისხს, ხელს უწყობენ საზოგადოების ჩართულობას და სტიმულირებენ ეკონომიკურ ზრდას.

იხილეთ ურბანული განახლების მიმართულებით რამდენიმე მაგალითი.

1. **შენობების/ ლოკაციების ხელახალი გამოყენება:**

ფუნქცია დაკარგული სივრცეების საერთო სამუშაო სივრცეებად გარდაქმნა, ინდუსტრიული ადგილებში კრეატიულ ჰაბების შექმნა, ან მრავალფუნქციურ სივრცეებად გარდაქმნა, რითიც შენარჩუნდება არქიტექტურული მემკვიდრეობა და ამავდროულად ასეთი ლოკაციები შეიძენენ ახალ სიცოცხლეს.

2. **საზოგადოებრივი სივრცის გაუმჯობესება სოციალური და ეკონომიკური შედეგით:**

საჯარო სივრცეების განვითარება, როგორიცაა ურბანული პარკები, მოედნები მრავალფუქნციური დატვირთვით, რათა შეიქმნას მიმზიდველი თავშეყრის ადგილები მაცხოვრებლებისთვის და ვიზიტორებისთვის. სადაც განთავსდება დასასვენებელი ადგილები და შეიქმნება ისეთი სივრცეები სადაც შესაძლებელი იქნება სხვადასხვა აქტივობის გამართვა, მაგ. ხელოვნების ნამუშევრების გამოფენა/გაყიდვა, ან საკვირაო ბაზრის მოწყობა, სადაც შეიქმნება შესაძლებლობები მცირე ბიზნესისთვის კომერციული საქმიანობის განსავითარებლად.

3. **კულტურული და ხელოვნების ინიციატივები:**

შეიქმნას სამხატვრო გალერეები, პერფორმანსის ადგილები და კრეატიული სივრცეები ადგილობრივი ხელოვანებისა და შემსრულებლების მხარდასაჭერად. კულტურულ ღონისძიებებსა და ფესტივალებს შეუძლიათ სტუმრების მოზიდვა, ტურიზმის გააქტიურება და მიმდებარე ტერიტორიებზე კომერციული აქტივობების წარმოქმნა.

სააპლიკაციო ფორმის შესავსებათ, იხილეთ **„განაცხადის ფორმა“.**

“ეს დოკუმენტი შექმნილია ევროკავშირის და გერმანიის მთავრობის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის და გერმანიის მთავრობის შეხედულებებს.”